ხელშეკრულება № 45

ქ. თბილისი 18.06.2013 წ.

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. `საქართველოს საკანონმდებლო მაცნე~, შემდგომში – `შემსყიდველი~, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ჯონი კვინიკაძის** სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. ,,PRIME DESIGNE, შემდგომში – `მიმწოდებელი~, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თეიმურაზ ადომლიშვილის** სახით წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი

მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ _ `ხელშეკრულება~) `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. `შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ _ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. `მიმწოდებელი~ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის `ს[1]~ ქვეპუნქტის შესაბამისად შემსყიდველმა გააფორმა ხელშეკრულება მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის იუსტიციის სამინისტროს გერბის შესყიდვა, მონტაჟით (თეთრ დაფაზე ზომით 144/60სმ).

2.3 კლასიფიკატორის შესაბამისი კოდი 35821000.

მუხლი 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 350 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

მუხლი 4. მომსახურების შესაბამისობა

4.1 ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული შესყიდვა უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი შესყიდვებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

4.2 ხელშეკრულებაში აღნიშნული ნებისმიერ გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

4.3 შემსყიდველია არ არის ვალდებული სრულად აითვისოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტები.

მუხლი 5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1 შესყიდვის გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 2013 წლის 19 ივნისისა.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვის დროს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების შესაბამისად მიმწოდებელთან მიწოდებულ საქონელზე (მომსახურებაზე) აფორმებს მიღება ჩაბარების აქტს.

მუხლი 6. ანგარიშწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარისწორების წესით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში.

მუხლი 7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

7.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

7.1.1 დროულად აანაზღაუროს მოწოდებული პროდუქციის ღირებულება.

7.1.2 აწარმოოს მოწოდებული პროდუქციის ხარისსხისა და მოცულობის კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს მისი აღმოფხვრის მიზნით.

7.1.3 განაცხადოს უარი უხარისხო პროდუქციის მიღებაზე.

7.2 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:

7.2.1 `შემსყიდველს~ მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

7.2.2 უზრუნველყოს მიწოდებულ საქონელზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, როგორც ერთი ასევე მეორე მხარე იხდის პირგასამტეხლოს გადასახდელი თანხის 0,1%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების
შესრულებისაგან.

8.3 მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ს.

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

10.1 `შემსყიდველს~ უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი `მიმწოდებლის~ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს `შემსყიდველის~ მხრიდან ახორციელებს უფლებამოსილი პირი, მრჩეველი გიორგი პაპავა, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში -----------.

10.2 `მიმწოდებელი~ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 11. სპეციფიკური პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებული პროდუქციის საფასური არ შეიცვლება.

11.2 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულე-ბების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

12.2 `დაუძლეველი ძალის~ ქვეშ იგულისხმება გარემოებები (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საომარი მდგომარეობა და ა.შ), რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი

შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ.

13.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი
კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 14. ხელმკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ .

მუხლი 15. დავათა განხილვის წესი

15.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან მათ შორის არსებული ყველა სადაო საკითხი.

15.2. თუ მოლაპარაკების მიუხედავად მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უფ-ლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 16. ხელშეკრულების შეწყვეტა და მოშლა

16.1 მხარეებს შეუძლიათ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16.2 მხარეს შეუძლია მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე მოშალოს ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულებამ აზრი დაკარგა.

16.3. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული შეწყვეტის შესახებ, რომელიც წერილობით უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

16.4. მიმწოდებელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 17. ზოგადი დებულებები

17.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

17.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24	ქ. თბილისი, III-ე მასივი ზ/პ 40-53
ტელ: 240 58 24; 240 59 17	ტელ: 599 111 799
სს ,,პრივატბანკი“	სს ,,თი ბი სი ბანკის“ მარჯ.ფილიალი
ა.ა. GE26TP0034020020000306	ა.ა. GE50TB11583361801000
ბანკის კოდი: CAVOGE 22	ბანკის კოდი: TBCBGE22850
საიდენტიფიკაციო კოდი: 203862622	საიდენტიფიკაციო კოდი: 206333305

ჯონი კვინიკაძე	თ[illegible] ალომლიშვილი